რა კავშირი აქვს ანაკლიის პოტენციურ ჩინურ ინვესტორს სერბეთში მომხდარ ინციდენტთან, რომელიც 14 ადამიანის სიკვდილით დასრულდა

ჩინური კომპანია, რომელიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტის პოტენციური კერძო პარტნიორია, მორიგ საერთაშორისო სკანდალში გაეხვია. სერბეთში კომპანიის მიერ რეაბილიტირებულ რკინიგზის სადგურში მომხდარ ინციდენტს 14 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.



2024 წლის 1 ნოემბერს, ჩინური კონსორციუმის, China Railway International Co. Ltd და China Communications Construction Company Ltd (CCCC)-ის მიერ სერბეთში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტს ფატალური ინციდენტი მოჰყვა. ქ. ნოვი სადის რკინიგზის სადგურის ბეტონის გადახურვის ჩამონგრევის შედეგად გარდაიცვალა 14 პირი, დაშავებულთა რაოდენობამ კი, 30-ს მიაღწია.

შემთხვევამ გამოიწვია მოსახლეობის მღელვარება და მასობრივი საპროტესტო აქციები, რომლის ფარგლებშიც, აქციის მონაწილეები ითხოვდნენ სამშენებლო, ატრანსპორტო და ინფრასტრუქტურის მინისტრის, გორან ვესიჩის თანამდებობიდან გადადგომას. რამდენიმე დღის შემდეგ, ვესიჩი თანამდებობიდან გადადგა, თუმცა ინციდენტის შესახებ გამოძიების პროცესმა ეჭვები წარმოშვა.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2024 წლის დასაწყისში, ადგილობრივმა სერბულმა ორგანიზაციამ აღნიშნულ ჩინურ კომპანიებთან დადებული ხელშეკრულების გასაჯაროების თხოვნით მიმართა სამშენებლო, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. თუმცა, სამინისტრომ უარი განაცხადა კონტრაქტის გასაჯაროებაზე იმ მიზეზით, რომ ჩინურ კომპანიას პროექტის დასრულებამდე არ სურდა მასთან დადებული ხელშეკრულების მესამე მხარისთვის გაზიარება. საყურადღებოა, რომ ამ დროისთვის რკინიგზის სადგურზე ფიქსირდებოდა ტექნიკური პრობლემები (მაგ. სახურავიდან გაჟონვები).

ინციდენტის შედეგად საზოგადოების ყურადღება მიიპყრო სადგურის რეაბილიტაციის პროცესში ჩართულმა ჩინურმა კონსორციუმმა, რომელიც, ხელისუფლების მხარდაჭერის მეშვეობით, ამ დრომდე თავიდან ირიდებს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას. როგორც სერბეთის ოფიციალურმა პირებმა, ისე ჩინური კომპანიების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სადგურის გადახურვა არ ყოფილა 2021-2024 წლებში განხორციელებული სამუშაოების ნაწილი. თუმცაღა, აღსანიშნავია, რომ 2021 წელს ხელისუფლებას არ დაუკონკრეტებია სადგურის რა ნაწილებს მოიცავდა რეაბილიტაციის გეგმა.

საინტერესოა, რომ ამ ფატალური ინციდენტის შემდგომ დღეებში, 5 ნოემბერს, სერბეთის პრემიერ-მინისტრი, მილოშ ვუშევიჩი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩინეთში. სწორედ ვუშევიჩია ის პიროვნება, რომელმაც პროექტში მონაწილე ჩინურ კომპანიებზე არსებული კითხვებისა და ეჭვების საპასუხოდ განაცხადა, რომ ის არ შეუერთდება „პოტენციურ ანტი-ჩინურ ისტერიას“.

შეგახსენებთ, რომ ჩინური კომპანია, CCCC არის პოტენციური ინვესტორი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტში. სამოქალაქო იდეამ საქართველოს მთავრობის მხრიდან ამ სტრატეგიულ პროექტში ჩინური კომპანიის ჩართვის ინიციატივის გასაჯორეობისთანავე დაინტერესებულ მკითხველს წარუდგინა სრული მასალა, მისი საერთაშორისო რეპუტაციის თაობაზე და დადასტურებული ფაქტები, რომ CCCC-ს სახელი მსოფლიოს გარშემო არაერთ სკანდალთანაა დაკავშირებული, ხოლო სერბეთის შემთხვევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ კომპანიის საქმიანობა არაა გამჭვირვალე და ბევრ რისკებთანაა დაკავშირებული.